განკარგულება:**g-31. 31250862**
თარიღი:**27/03/2025**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №14

2025 წლის 27 მარტი

ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით მიმღები პირების, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან გათავისუფლებაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილი ,,დ,ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებისა და ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 33-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად,

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით მიმღები პირები, რომლებმაც მუნიციპალიტეტში 2025 წლის 21-26 თებერვალს მოსული უხვი ნალექის (დიდთოვლობის) გამო (რა დროსაც ჩაიკეტა გზები და შეზღუდული იყო გადაადგილება) ვერ შეძლეს მიმდინარე ქირის 2025 წლის 25 თებერვლის ჩათვლით გადახდა, გაათავისუფლოს მერიასთან გაფორმებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისათვის, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, დაკისრებული პირგასამტეხლოსგან კერძოდ: ციალა ლომაძე პ/ნ 26001003806 (ხელშეკრულება N6 20/01/2025) , ეთერ ხუტულაიშვილი პ/ნ 26001011837 (ხელშეკრულება N 3 13/01/2025) , ნანა ურუშაძე-ძიმისტარიშვილი პ/ნ 61001021917 (ხელშეკრულება N4 13/01/2025) , ნანა ურუშაძე-ძიმისტარიშვილი პ/ნ 61001021917 (ხელშეკრულება N 5 13/01/2025) სალომე ბოჭორიშვილი პ/ნ26001031170 (ხელშეკრულება N5 01/07/2024) 1 თვით გათავისფლდნენ დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N26 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი